საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **12 ნოემბერი, 2014 წელი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/21

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის შემდეგ მუხლებში:

- მე-6 მუხლის I პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა კვლევითი/შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით ითვალისწინებს სადიპლომო ნაშრომის/პროექტის შესრულებას. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია ნაშრომის ნაცვლად საკვალიფიკაციო გამოცდის/გამოცდების ჩაბარება და მცირე ფორმატის რეფერატის მომზადება პროგრამის ხელმძღვანელის წინადადებითა და შესაბამისი დეპარტამენტის შუამდგომლობით, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი სამართლებრივი აქტით.

- მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: თეორიული მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სადიპლომო ნაშრომი/პროექტი ითვალისწინებს თეორიული ნაშრომის ან პროექტის შესრულებას. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია ნაშრომის ნაცვლად საკვალიფიკაციო გამოცდის/გამოცდების ჩაბარება და მცირე ფორმატის რეფერატის მომზადება.

- მე-5 მუხლის „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: თეორიული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 გვერდს, დანართების გარეშე, ხოლო საბაკალავრო ნაშრომისა - არანაკლებ 25 გვერდს, პროექტის მოცულობა განისაზღვრება პროექტის თემატიკიდან გამომდინარე, საბაკალავრო ნაშრომის

ნაცვლად საკვალიფიკაციო გამოცდის რაოდენობას ადგენს პროგრამის ხელმძღვანელი, რეფერატის მოცულობა კი არანაკლებ - 12 გვერდისა.

- მე- 6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ა) საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/რეფერატის თემატიკას დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რომლის საფუძველზე გამოიცემა ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტი.
ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სადიპლომო ნაშრომის/პროექტის/რეფერატის თემის დამტკიცება უნდა მოხდეს დაცვამდე არანაკლებ 6 თვით ადრე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცება - სამაგისტრო პროგრამის პირველი სასწავლო წლის განმავლობაში.
გ) სადიპლომო ნაშრომის/პროექტის/რეფერატის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის ურთიერთშეთანხმებით.

-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მუხლი 7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომის/პროექტის/რეფერატის დაცვის პროცედურა
1. სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვაზე, ან საკვალიფიკაციო გამოცდაზე/გამოცდებზე და რეფერატის დაცვაზე დაიშვება სასწავლო კომპონენტის სრულად შესრულების შემთხვევაში.
- ამოღებულ იქნას 1[1] ქვეპუნქტი.
2. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის/პროექტის/რეფერატის დაცვა უნდა ჩატარდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შედგენილი კომისიის წინაშე, რომელიც იქმნება ფაკულტეტის დეკანის სამართლებრივი აქტით. ნაშრომის/პროექტის/რეფერატის დაცვის პროცედურა საჯაროა. თეორიული მიმართულებით ნაშრომის/პროექტის/რეფერატის წარდგენისთვის მომხსენებელს ეძლევა 10-15 წუთი, ხოლო საშემსრულებლო მიმართულებით შემოქმედებითი ნაშრომის წარდგენის დრო და ფორმატი განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ.
3. კომისიის თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს სტუდენტის ვინაობას, ნაშრომის/პროექტის/რეფერატის თემას, სპეციალობას, ხელმძღვანელს და რეცენზენტს. ამის შემდეგ ნაშრომს/შემოქმედებით ნამუშევარს/პროექტს/რეფერატს წარადგენს სტუდენტი. სტუდენტის მოხსენებაში/პროექტში/რეფერატში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ნაშრომის/შემოქმედებითი ნამუშევარის/პროექტის/რეფერატის მიზანები, ამოცანები და ძირითადი შედეგები.
4. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის/პროექტის/რეფერატის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისია იწვევს დახურულ სხდომას, რომელზეც ფასდება ნაშრომი/პროექტი/რეფერატი.
5. საკვალიფიკაციო კომისიის წევრები საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომს/პროექტს აფასებენ მაქსიმუმ 100 ქულით შესაბამისი პროგრამით დადგენილ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რეფერატის შეფასების კრიტერიუმი განსაზღვრულია შესაბამისი საგანმანატლებლო პროგრამით.
6. დაცვის პროცედურის მსვლელობისას კომისიის თითოეული წევრი აფასებს სტუდენტის საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომს/პროექტს/რეფერატს, საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

7. საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის/პროექტის/რეფერატის შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი გამოცხადებისთანავე. კომისია ვალდებულია პრეტენზია განიხილოს სტუდენტის თანდასწრებით და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.
8. თუ საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომი/პროექტი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 41-50%-ით, სტუდენტს უფლება აქვს ნაშრომი/პროექტი ხელმეორედ წარმოადგინოს 1 თვის განმავლობაში. თუ საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომი/პროექტი შეფასდა მაქსიმალური შეფასების 0-40%-ით, სტუდენტი ვალდებულია ნაშრომი/პროექტი დაამუშაოს ხელახლა და წამოადგინოს დასაცავად 3 თვის განმავლობაში, სამუსიკო საშემსრულებლო მიმართულებით კი - 12 თვის განმავლობაში. იგივე მოთხოვნები ვრცელდება საკვალიფიკაციო გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და რეფერატის წარდგენის შემთხვევაში.
9. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ობიექტური მიზეზებით ვერ წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომს/პროექტს, ან ვერ გავა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ან ვერ დაიცავს რეფერატს დადგენილ ვადაში, ვალდებულია ნაშრომი/პროექტი წარმოადგინოს მაქსიმუმ 12 თვის გაანმავლობაში. იგივე მოთხოვნები ვრცელდება საკვალიფიკაციო გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და რეფერატის წარდგენის შემთხვევაში.
10. სტუდენტმა განმეორებითი დაცვის/გამოცდაზე გასვლის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.
11. სტუდენტს უფლება აქვს წარსდგეს საბაკალავრო (სადიპლომო) ნაშრომის/პროექტის განმეორებით დაცვაზე/გამოცდაზე მხოლოდ ერთხელ.

- მე-8 მუხლის 21[1] ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ბაკალავრს ორჯერ სადიპლომო ნაშრომში/პროექტში/საკვალიფიკაციო გამოცდასა და რეფერატში არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.
- 22-ე ქვეპუნქტი: საბაკალავრო და სამაგისტრო ნამუშევრები/პროექტები იქნეს აღრიცხული და შენახული უნივერსიტეტის ფონდში.

2. შესაბამისი ცვლილებები იქნას შეტანილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დანართებში.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**